ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 70
26/08/2016

70-08-4-201608261631

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.06.2016 წლის N46 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.შევიდეს ცვლილებები და დამატებები ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად, გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ნუსხის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17.06.2016 წლის N46 განკარგულებაში:

1.1.განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ.

1.2.განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2^1 მუხლი:

2^1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურულ-ეკონომიკური ინტერესების, ცალკეული არქიტექტურული ობიექტების იერსახისა და მათი მხატვრულ-ესთეტიკური, ღირებულების დაცვის მიზნით საარჩევნო პლაკატების გაკვრა აიკრძალოს დანართი N2-ით განსაზღვრულ შენობა-ნაგებობებზე.

1.3.განკარგულების მე-3 მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.სააგიტაციო მასალის განთავსება აიკრძალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ: საკულტო ნაგებობებზე (მუნიციპალიტეტში არსებული ყველა სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესიები და მეჩეთი), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე (გორაბერეჟოულის ტყე-პარკის ტერიტორია, ერისთავების ციხე-დარბაზი), მემორიალურ დაფებზე, ობელისკებზე, ძეგლებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, პოლიციის შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

1.4. განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე 3^1 მუხლი:

3^1. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით.

1.4.განკარგულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5^1 მუხლი

5^1.ამ განკარგულების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ სიხარულიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა